



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 14/50

2023 წლის 20 სექტემბერი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა მიღების მიზნით, სტაჟიორთა სავალდებულო კვოტის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №19/174 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 2014 წელს მოქმედი ნორმატიული აქტის - „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2014 წელს, საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა მიღების მიზნით, საჯარო დაწესებულება-საკრებულო განსაზღვრავდა სტაჟიორთა სავალდებულო კვოტას.

დღეს მოქმედი ნორმატიული აქტის - „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში სტაჟიორთა რიცხოვნობას განსაზღვრავს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი-საკრებულოს თავმჯდომარე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველის ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა მიღების მიზნით, სტაჟიორთა სავალდებულო კვოტის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №19/174 განკარგულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა მიღების მიზნით, სტაჟიორთა სავალდებულო კვოტის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №19/174 განკარგულება.

მუხლი 2.

ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების

დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორთა რიცხოვნობას განსაზღვრავს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი-საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეზუაშვილი